



საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 884

2019 წლის 21 ოქტომბერი

ქ. თბილისი

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული
კომისიის თავმჯდომარის არჩევნების დანიშვნის შესახებ

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტისა და მე-8 მუხლის პირველი პუნქტის, „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 2019 წლის 18 ოქტომბრის N5201-ის კანონის მე-2 მუხლისა და „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარის არჩევის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარის 2019 წლის 21 ოქტომბრის N883 ბრძანების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარის არჩევნები დაინიშნოს 2019 წლის 21 ოქტომბერს, 14.00 საათზე (მისამართი: თბილისი, მიცკევიჩის ქ. N19) და დასრულდეს არა უმეტეს 15.00 საათისა.
2. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარეობის კანდიდატის/კანდიდატების დასახელება წარმოებს ხმის დამთვლელ კომისიაში 2019 წლის 21 ოქტომბერს, 10.00 საათიდან 13.00 საათამდე.
3. დამტკიცდეს საარჩევნო ბიულეტენის თანდართული ფორმა.
4. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარის არჩევის მიზნით ხმის დამთვლელი კომისია განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით:
 - ა) ზურაბ გაბელაია – კომისიის აღმასრულებელი დირექტორი (კომისიის თავმჯდომარე);
 - ბ) ელეონორა ლავილავა – კომისიის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების დეპარტამენტის დირექტორი (კომისიის წევრი);
 - გ) მალხაზ ძიძიკაშვილი – კომისიის იურიდიული დეპარტამენტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი (კომისიის წევრი).
5. ბრძანება ძალაშია მისი ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება გამოქვეყნდეს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზე ([www. gnerc.org](http://www.gnerc.org)).

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, N6), მისი გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

გოჩა შონია



კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი